შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№1 (9.810)
17 – 27 იანვარი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს

გვ.2

პატრიარქის 2018 წლის საშობაო ეპისტოლე

გვ.3

ახალი გეგმებითა და იდეებით სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ქ. დედოფლისწყაროში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული შენობების რეაბილიტაციას ოპერატიულად აწარმოებს. ამ ეტაპისთვის გადახურულია ფიზიკური პირების საცხოვრებელი ორი სახლის სახურავი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსის სახურავის სრული რაბილიტაცია კი უახლოეს დღეებში დასრულდება. დასრულებული და მიმდინარე სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დედოფლისწყაროს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან, დავით ფხოველიშვილთან ერთად დაათვალიერა და მოსახლეობას პირადად გაესაუბრა.

„ჩვენს კორპუსში წყალი ადრეც ხშირად ჩამოდიოდა, რადგან გადახურვა მოძველებული იყო. ახლა კი პრობლემა მოგვეხსნება. მადლობა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და პირადად ბატონ ნიკოლოზს, სწრაფი რეაგირებისა და ეფექტური მუშაობისათვის“- განაცხადა კორპუსის მცხოვრებმა ლაურა სარქისიანმა.



გვ.4

დაავადებათა კონტროლის ცენტრში უარყოფენ, რომ ცოფის სახიფათო ვაქცინა გამოიყენეს



გვ.4

ელექტროენერგიის გადასახადი გაძვირდა

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2018 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ელირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

პატრიარქის 2018 წლის საშობაო ეპისტოლე

“ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხაროდეთ!

“ამიერიდან შენ უკვე აღარ ხარ მონა, არამედ ძე, ხოლო თუ ძე ხარ, მემკვიდრეცა ხარ ღმერთის მიერ” (გალ.4,7).

ახლა, ამ ღამეს, მთელ კაცობრიობას და თითოეულ ჩვენგანს კვლავ ეუწყება ანგელოზის საოცარი სიტყვები, პირველად ბეთლემელმა მწყემსაბმა რომ გაიგონეს: ,,...მე გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი, რადგან დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი...” (ლუკა. 2.11) და მსოფლიოს კვლავაც ეფინება ზეციური საგალობელი: ,,დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება” (ლუკა 2.14).

ანთებული სანთლებით მწყემსებთან და მოგვებთან ერთად სულიერად ჩვენც გავეშუროთ ბეთლემისაკენ და მივეახლოთ ყრმა იესოს, - წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ დავითის ძედ წოდებულს.

რატომ შეიყვარა ღმერთმა ასე დავითი? რატომ მიაგო გამორჩეული პატივი? შობის ადგილად მისი ქალაქი რატომ ირჩია და თავისი ხორციელი წარმომავლობა მას რატომ დაუკავშირა?!

პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი გახდა მეფე-რჩეული

დავითს ძლევამოსილობის მწვერვალზეც და უდიდესი შეჭირვების ჟამსაც სულით ხორცამდე ჰქონდა განცდა იმისა, რომ ქვეყანაში თვითონ კი არ მეფობდა, არამედ, - ყოვლადსახიერი უფალი. თავად კი იყო ოდენ მსახური და მისი ნების აღმსრულებელი, ამიტომაც თავმდაბლად სრულად იყო მასზე მინდობილი და უდრტვინველად ემორჩილებოდა.

ძველი აღთქმის მეფეთა შორის მეფე-მსახურის ტვირთი ასე სწორად, ასე ღირსეულად არავის უტარებია და დღესაც იგი მისაბაძად რჩება.

დავითს ჰქონდა დიდი შეცდომებიც, მაგრამ ჰქონდა გულმხურვალე, გულწრფელი, სულისშემძვრელი სინანული და ეს განცდა იმდენად ძლიერი იყო მასში, რომ სჭარბობდა ცოდვათა სიმძიმეს და მაგალითად გახდა დაცემულთა წამოდგომისა.

თავმდაბლობისა და გულშემუსვრილობის გამო მიეცა მას წინასარმეტყველების მადლი და უფალთან პირდაპირი საუბრის ძალმოსილება, რითაც იქცა მეფობის, ღვთისმახურებისა და წინასწარმეტყველების ნიჭთა შემომკრებად.

ამ თვისებათა გამო დაფასდა დავითი ღვთის თვალში.

****

ჩვენ ყველამ მშობლებისა და წინაპართაგან მივიღეთ გენეტიკური მემკვიდრეობა. ამ მემკვიდრეობის, გარემოებათა და პიროვნული არჩევანის მიხედვით კი ვყალიბდებით ინდივიდებად.

ეს შემოქმედებითი პროცესია, რადგან გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენი ქმედებების ნაწილი მოვიწონოთ, ნაწილი დავიწუნოთ, ზოგს განვერიდოთ, ზოგს მუდმივად ვებრძოლოთ ... და ასე გავხდეთ თანამონაწილე ჩვენი ,,მე”-ს გამოძერწვისა.

ავს ვაკეთებთ თუ კარგს, ეს ყველაფერი შემდეგ იმ ქვეყნად აისახება და მთელი სისავსით გამოვლინდება; ამიტომაც ჩვენს ყველა ნაბიჯს და არსებობის ყოველ წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვმოქმედებთ გონებით, სიტყვით, საქმით, გრძნობით და პასუხს ვაგებთ ფიქრზე, რომელიც გონებაში გვაქვს, საქმეზე, რომელსაც ვაკეთებთ, ტკივილზე თუ სიხარულზე, რომელსაც განვიცდით, სიტყვაზე, რომელსაც ვამბობთ, მზერაზეც კი ... რადგან ეს ჩემი აზრია, ჩემი გრძნობაა, ჩემი მოქმედებაა, ჩემი სიტყვაა, ჩემი განწყობაა. მე ვქმნი ამ ყოველივეს და ჩემს ,,მე”-დ, ჩემს ინდივიდუალურ ყოფად ვაქცევ.

წარმოიდგინეთ, მუდმივად რამდენი მიმართულებით ვავლენთ თავს. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში არც ვუკვირდებით და ვერც ვაცნობიერებთ, რას ვაკეთებთ, რატომ და როგორ ვმოქმედებთ.

რა არის ჩვენთვის სასარგებლო ან უარსაყოფი, რა ითვლება სიმართლედ და სიკეთედ, როგორ ვიცხოვროთ, როგორ მოვიპოვოთ ბედნიერება? — ეს კითხვები ფილოსოფოსთათვის საუკუნეთა მანძილზე განსჯის საგნად იყო ქცეული და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ქრისტიანობამ კი ყველასთვის გასაგებად მარტივად გასცა მას პასუხი: ,,შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი სულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და დიდი მცნება და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი” (მთ.22, 37-39), ანდა ,,ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ” (მთ. 7,12).

მაგრამ ამგვარი ცხოვრების შედეგი არ არის მიწიერი ბედნიერება, სიმდიდრე და თანამდებობა, არც პატივი და უზრუნველი ყოფა.

ასეთი ცხოვრების შედეგი არის მარადიული ნეტარება, მარადიული სიხარულის განცდა და ანგელოზთა თანა ქრისტეს საუფლოში მყოფობა.

წუთისოფელში ყოველთვის იყვნენ და არიან ადამიანები, რომელნიც ამქვეყნიურ, წარმავალ კეთილდღეობას ირჩევენ ცხოვრების მიზნად და სხვა არც არაფერი სურთ. მაგრამ იყვნენ, არიან და იქნებიან ისეთნიც, რომელნიც ბედნიერებას უფალთან ერთობაში ხედავენ.

ასეთი აზროვნება ზოგიერთს ადრეული ასაკიდან უყალიბდება, ზოგი განსაცდელის შემდეგ ხდება მორწმუნე, ნაწილიც განსჯით ეძიებს და იმეცნებს ღმერთს, რომელთანაც სიახლოვეს მთელი ძალით ეკლესია შეგვაგრძნობინებს.

რა არის და რას ნიშნავს ეკლესია?

ეკლესია ღვთის მიერ მოწოდებულთა და მისი სიწმინდის გარშემო გაერთიანებულთა კრებულია.

პირველი ეკლესია ჩვენთვის უხილავია და იგი შემოქმედთან ანგელოზთა დასის ურთიერთობას გულისხმობს.

ადამს, ევასა და ღმერთს შორის დაცემამდელი კავშირი კი იყო ედემში არსებული ეკლესია, ანუ ის სივრცე, რომელშიც შემომქმედთან ჩვენი პირველმშობლების ერთობით ხდებოდა მათი ნეტარებითი ცხოვრება.

ცოდვით დაცემის შემდეგ ხილული ეკლესია კვლავ შენარჩუნდა აბრაამის და სხვა მამათმთავართა კრებულში; სჯულდებითი სახე კი მას სინას მთის გამოცხადების შემდეგ მიეცა.

I საუკუნემდე მთელს მსოფლიოში მხოლოდ ისრაელში არსებობდა ეკლესია, სადაც იდიდებოდა ჭეშმარიტი ღმერთი.

I საუკუნის დასაწყისში, სულიწმინდის მოფენის დღეს, - დაარსდა ახალი აღთქმის ეკლესია, რომელმაც მაცხოვნებლობითი მადლმოსილება შესძინა იმ მსახურებას ძველი აღთქმის ეკლესიაში რომ აღესრულებოდა.

მისი მოწყობის წესი, იერარქია და საიდუმლოებები მაცხოვარმა თვითონ დაადგინა. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ მხოლოდ ეს ეკლესია არის მაცხოვნებელი, მარადიული სიცოცხლის წყარო და ემბაზი, რადგან იგი უშუალოდ იესო ქრისტეს მიერაა დაარსებული და მისი სისხლითაა გამოსყიდული. ,,კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მთ. 1,16), - ბრძანებს უფალი.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არასოდეს მძლავრობს პიროვნებაზე. მიუხედავად იმისა რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა, მისთვის უცხოა ჩვენი ნების რაიმე სახით შეზღუდვა (ცოდვა კი იმონებს კაცს და თავის მორჩილად ხდის), იგი კაცობრიობას და თითოეულ ჩვენგანს გადარჩენის გზებს უჩვენებს და გვთავაზობს თანამოღვაწეობას ჩვენს სულში და ჩვენს გარემოში გაბატონებული ბოროტი ძალის დასამარცხებლად. ამისთვის კი არ არის საკმარისი მხოლოდ ჩვენი სიტყვიერი აღმსარებლობა, არც ღრმა თეოლოგიური ცოდნა, არც წესების შესრულება, აუცილებელია ყოველი ჩვენგანის პირადი მოღვაწეობაც, ქმედებებში გამოვლენილი ჩვენი ბრძოლა გამარჯვებისათვის.

ამიტომაც ეწოდება ქრისტეს ეკლესიას მებრძოლი ეკლესია.

ხოლო ვინც ამქვეყნად ამ სულიერ ბრძოლაში არ მონაწილეობს და ცხონების გზას არ ადგება, თუნდაც ეკლესიაში რეგულარულად დადიოდეს და სასულიერო პირიც იყოს, ქრისტეს ცოცხალი და ცხოველსმყოფელი ეკლესიის გარეთ დარჩება.

ვიტყვით იმასაც, რომ მებრძოლი ეკლესია იარსებებს მეორედ მოსვლის შემდეგაც, ოღონდ ახალი ფორმით, - მოზეიმე ეკლესიის სახით, ცოდვებზე გამარჯვებულ ნათლის შვილთა და ღვთის ძეთა კრებულის სახით.

ასე რომ, ეკლესია ყოვლადწმინდა სამების მადლთან ანგელოზთა და კაცთა თანაზიარების ადგილია. იგი შესაქმის თანადროულია, ანუ სამყარო ეკლესიის გარეშე არ არსებობს!

ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ მებრძოლი, გადამრჩენელი, მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნი ვართ და ძალგვიძს, მოზეიმე ეკლესიის თანაზიარნიც გავხდეთ.

ქრისტეს ეკლესიის წევრობა ცოდვის მონობისაგან ჩვენს გათავისუფლებას, საკუთარი თავის ფლობას, სხეულზე სულის წარმმართველობას გულისხმობს.

წარმომავლობის, ეთნოსის, წარსული ცოდვილი ცხოვრების მიუხედავად ქრისტე არ ერიდება უდიდეს სიწმინდეში ჩვენს შეყვანას, ზიარების მადლით კი მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ვხდებით.

მაგრამ ამ სიწმინდეს გვთავაზობს არა პატივისათვის, არამედ პასუხისმგებლობისთვის, არა ბატონობისთვის, არამედ მოყვასზე ზრუნვისთვის, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად მეფე - მსახურად ჩვენი წარმოჩენისთვის.

“მადლისა და სიმართლის უხვად მიმღებნი იმეფებენ სიცოცხლეში, იესო ქრისტეს მიერ” (რომ.5,17), - ვკითხულობთ წმინდა წერილში, რადგან ,,უკეთუ დავითმენთ, მასთან (იესოსთან) ერთად ვიმეფებთ” (II ტიმ. 2,12).

ქრისტიანად ყოფნა ნიშნავს ისეთი თვისებების ქონასაც, როგორიცაა, ერთი მხრივ, თავმდაბლობა, მეორე მხრივ, - უშიშრობა და სხვისთვის თავგანწირვა; ერთი მხრივ, გულწრფელობა და უბოროტობა, მეორე მხრივ, - სიბრძნე და გონიერება, სხვისი აზრის მოსმენისა და და უმჯობესის გამორჩევის უნარი...

როდესაც ვუყურებთ ჩვენს თანამედროვე მდგომარეობას, ერთგვარი შიში და უკმაყოფილება გვიპყრობს, რადგან ქრისტიანული წესით ცოტა ცხოვრობს და ეკლესიის მაცხოვნებელ საოცარ წიაღს მოწყვეტილნი, ვითარცა ხის ნაფოტნი და ვაზის ნასხლევნი, სიცოცხლეს კარგავენ.

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და კაცობრიობის დღევანდელი მდგომარეობა მეტად მძიმეა. პიროვნება უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა და ღვთის მადლის გარეშე დარჩენილს, აღარ ძალუძს, თავი დააღწიოს შექმნილ მდგომარეობას; ინგრევა ოჯახები, უმეთვალყურეოდ რჩებიან ბავშვები; გამეფდა სიცრუე, ამპარტავნება, გაუტანლობა, ეგოიზმი, შური და ღვარძლი; ადამიანი ცდილობს, გაექცეს ამ რეალობას, მაგრამ გზააბნეული ხსნას ძირითადად ნარკოტიკის მოხმარებაში ხედავს, რითაც მდგომარეობას კიდევ უფრო ირთულებს.

აუცილებელია, შემუშავდეს ისეთი ნარკოპოლიტიკა, რომელიც ახალგაზრდებს დაიცავს და შექმნის უარყოფით განწყობას ამ უმძიმეს სენთან მიმართებით. ამასთან, უნდა აშენდეს სარეაბილიტაციო ცენტრები, სასკოლო ასაკიდანვე უნდა მოხდეს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და გატარდეს სხვა ღონისძიებები.

მაშინ, როდესაც ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, ყველას განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს, რათა აღნიშნული პრობლემისადმი სწორი კომპლექსური მიდგომა განხორციელდეს და რეალური, შედეგის მომტანი ნაბიჯები გადაიდგას.

მაინც მწამს, ქვეყანა, რომელიც უფლისა და ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა და რომელმაც 2000 წლის მანძილზე რწმენისთვის თავგანწირვის მრავალი მაგალითი აჩვენა, ქრისტიანობისთვის მებრძოლ სულს კვლავაც შეინარჩუნებს და ცხონების გზას, ათას ქარტეხილთა მიუხედავად, არ დატოვებს.

ამის იმედს განსაკუთრებით მაძლევს ჩვენი მომავალი თაობა, საოცრად ნიჭიერი და ღვთისმოყვარე ჩვენი ბავშვები. დღეს, უპირველეს ყოვლისა, მათი ზეიმია და გულითადად ვულოცავ და ვლოცავ მათ.

ვლოცავ პატიმრობაში მყოფთ, სნეულთ და გაჭირვებულთ.

დღესასწაულს კიდევ ერთხელ ვულოცავ ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, ბერძენებს, უკრაინელებს, რუსებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომეხებს, უდინებს, იეზიდებს, ქურთებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, ჩეჩენებს და ლეკებს, ყოველ სხვა მკვიდრთ საქართველოისა და საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ.

მაშ, “განვიშორნეთ უკუე საჭურველნი ბნელისანი, რათა შევიწყნაროთ დღე აღმოდაბადებისა” (იოანე თესალონიკელი).

ქრისტე იშვების, ადიდებდეთ! ქრისტეს ზეცით მოვალს, მიეგებვოდეთ! ქრისტე ქვეყანასა ზედა არს, ამაღლდით!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი”.

ახალი გეგმებითა და იდეებით სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში...

რამოდენიმე კვირის წინ დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრს ახალი ხელმძღვანელი დაენიშნა. **აკაკი ნატროშვილი** ენერგიული, ქველმოქმედი, პრინციპული და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ახალგაზრდაა, რომელსაც აქვს საკუთარი ქვეყნის სწორ პერსპექტივაში დანახვის კარგი უნარი.

ჩვენმა მკითხველმა უკეთ რომ გაიცნოს იგი, გთავაზობთ მასთან შემდგარ ინტერვიუს.

მინი დოსიე: დავიბადე 1971 წლის 16 იანვარს, სოფელ ზემო მაჩხაანში. 1988 წელს დავამთავრე ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1989-1991 წლებში მოვიხადე სამხედრო ვალდებულება. 1992 წელს ჩავირიცხე თბილისის მართვის ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1996 წელს -- იურისტის კვალიფიკაციით.

2012 წლის დეკემბერში დავინიშნე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ.

2014 წლიდან ვიყავი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქციის თავმჯდომარე და ბიუროს წევრი. 2017 წლის დეკემბრიდან დავინიშნე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორად.

ახალგაზრდებს თუ არა, უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ, თუ რა მძიმე პერიოდი იყო 90-იანი წლები. ახალგაზრდობას არანაირი პირობა არ ჰქონდა იმისათვის, რომ თავისი ნიჭისა და მისწრაფების რეალიზება მოეხდინა და თავი სრულფასოვნად ეგრძნო. ეს იყო ბნელი და გაუსაძლისი წლები მთელი ქვენისთვის. 12-13 წლის ბიჭები ქუჩაში ათენებდნენ. ალკოჰოლი და თამბაქო იყო მათი ყოველდღიურობა.

ამ პერიოდში გადავწყვიტე, რომ ხელი კარგი და მადლიანი საქმისთვის მომეკიდა.

1998 წელს ფეხბურთის სექცია ჩამოვაყალიბე, სადაც, ყველა მსურველს შეეძლო უფასოდ ევარჯიშა. უამრავი ბავშვი მოვიდა და ამიტომ სხვადასხვა ასაკობრივი გუნდი შევქმენი.

ბავშვების მხრიდან იყო დიდი მონდომება, სოფელიც გვერდით დამიდგა და წარმატებამაც არ დააყოვნა--კახეთის ჩემპიონები გავხდით ზედიზედ 2-ჯერ და საქართველოს ჩემპიონატზე 16 საუკეთესო გუნდს შორის მოვხვდით.

ეს იყო 2004-2006 წლებში. წარმოიდგინეთ, სოფელ ზემო მაჩხაანის გუნდი ამარცხებს რუსთავის,თელავის, ახმეტის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს ფეხბურთის გუნდებს. ძალიან ნიჭიერი და მონდომებული თაობა იყო.

აი ასე, 12 წლის განმავლობაში მხოლოდ საკუთარი ენთუზიაზმით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვემსახურე ფეხბურთელთა აღზრდას და დღევანდელი გადასახედიდან უზომოდ ამაყი და

ბედნიერი ვარ, რომ იმ შავბნელ დროს ათეულობით ახალგაზრდა ჩამოვაშორე ქუჩას.

არ შემიძლია დღეს მადლიერება არ გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც, მთელი ეს წლები გვერდით მედგნენ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემი სოფლისთვის მზრუნველ ხალხს - ნოდარ ტოკლიკიშვილს, სოსო გოგაშვილს, ვანო ნატროშვილს, დიმიტრი მაძღარაშვილს, კობა ოზბეთელაშვილს, ნოდარ იაკობიშვილს, ნიკო ნატროშვილს, შოველი ბენაშვილს და ყველას, ვინც მაშინაც და ახლაც უშურველად იღწვის სოფლის კეთილდღეობისთვის.

– რა გეგმებით მოხვედით ახალ სამსახურში და დღევანდელ ფონზე, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ახალგაზრდებისთვის სპორტი და სხვა ნებისმიერი ახალგაზრდული საქმე? (იგივე ღაშქრობები, ბუნებასთან მეტი სიახლოვე, სხვადასხვა სოფლის ბავშვების დაკავება ერთობლივი გასვლითი ღონისძიებებით)

– გეგმები და ოცნებები, გიყვარდეთ, მრავლად გვაქვს. ჩემი მხრიდან ცდას არ დავაკლებ, რომ მოზარდ თაობას ყველა პირობა შევუქმნა განვითარებისა და წარმატებისათვის.

მთავრობისა და შესაბამისად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მოზარდი თაობისა და ახლგაზრდობის ხელშეწყობაა. მე ვეცდები, რომ მოზარდ თაობას ყველა პირობა შევუქმნა განვითარებისა და წარმატებისათვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის, იმისათვის, რომ მათ თავი სრულფასოვან და ქვეყნისთვის საჭირო ადამიანებად იგრძნონ. უნდა გამოვყოთ ახალგაზრდული სივრცეები, რათა, მათ ჰქონდეთ შეხვედრების, აზრების ურთიერთგაცვლის, ახალი იდეების დაბადების და განხორციელების ადგილი. სპორტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. სპორტით დაკავებულ მოზარდს, გარდა იმისა, რომ ჯანმრთელობას იძენს, ამასთანავე, გუნდურობის, ერთიანობის, დაბრკოლებების გადალახვის და დასახული მიზნის მიღწევის უნარ-ჩვევები უნვითარდება. ღაშქრობები და ბუნებასთან ურთიერთობაც გასათვალისწინებელია.

გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს თაობას, თავის დროზე, არ ჩაგვინერგეს ბუნების სიყვარული, რომ ურთიერთობა ბუნებასა და ადამიანს შორის სკოლაში მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გაცნობით არ იწყება და მთავრდება. ვგეგმავთ ისეთ ღონისძიებებს, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებას (რა თქმა უნდა, ნაწილობრივ მაინც) შეუწყობს ხელს და გვინდა, რომ, რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ მიიღოს მონაწილეობა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

– იქნებ მოკლედ გვითხრათ, სულ სპორტის რამდენი სახეობა ფუნქციონირებს დღეს თქვენს ცენტრში და აპირებთ თუ არა მის გაფართოვებას?

მოგახსენებთ, რომ, როგორც ჩვენს დარბაზში, ასევე სოფლებშიც, უამრავი სპორტული სექცია ფუნქციონირებს. ესენია: ფრენბურთის, კალათბურთის (გოგონების და ვაჟების), ფეხბურთის, ძიუდოს, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა, ქართული ჭიდაობის, ჭიდაობა-სამბოს, კიკ-ბოქსინგის, უშუ-სანდას, ხრიდოლის და მკლავჭიდის. გვინდა, დავამატოთ ჭადრაკის და მაგიდის ჩოგბურთის სექციები.

-აპირებთ ღუ არა სკოლებთან რაიმე სახის მემორანდუმებს, რომ უფრო მეტი სპორტი იყოს სკოლაში და ჩვენი მომავალი თაობები იყვნენ ყველაზე დიდი დოზით ჯანსაღი ცხოვრებით დაკავებულები?

– სკოლებთან ურთიერთობა და მათთან თანამშრომლობა სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგანაც ჩვენი ღონისძიებები ძირითადად სკოლის მოსწავლეებზეა გათვლილი. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრისა და სკოლების დამაკავშირებელი რგოლი საგანმანათლებლო რესურსცენტრია, რომელიც, თავის მხრივ, ინფორმაციას აწვდის მუნიციპალიტეტის სკოლებს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

– როგორ წარმოგიდგენიათ და ხედავთ ჩვენი ახალგაზრდობის ხვალინდელ დღეს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ასპექტში? მე, როგორც დედა, კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენი შვილები სარგებლობენ და შესაძლებლობა აქვთ ამდენ წრეზე იარონ უფასოდ(ჭიდაობა, კალათბურთი, კიკ-ბოქსი და ა.შ.), მაგრამ კიდევ მეტის გაკეთება თუ იქნება შესაძლებელი მომავალი თაობებისთვის, მისასალმებელი იქნება.

– სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ სპორტულ სექციებში მოვარჯიშე ბავშვების ყველა გასვლით ღონისძიებას ცენტრი სრულად უფინანსებს მათი კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით.

სამომავლოდ, რა თქმა უნდა, ყველაფრის გაუმჯობესება შეიძლება. ამის დიდი სურვილი გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, მწირი ბიუჯეტი არ იძლევა ამის საშუალებას. ვცდილობთ, ადამიანური რესურსის ხარჯზე უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ ცენტრის საქმიანობა, როგორც ახალგაზრდობის, ასევე, სპორტის მიმართულებით.

და ბოლოს, მინდა, მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას იმ დიდი ნდობისა და პასუხისმგებლობისათვის, მე რომ დამაკისრა.

-დიდი მადლობა, ბატონო აკაკი, ჩვენთან თანამშრომლობისთვის, გვჯერა, თქვენი წარმატებული მუშაობის.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

GIZ-სა და დედოფლისწყაროს შორის თანამშრომლობა გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში ადგილობრივი ხელისუფლების, გერმანიის საერთაშორიშო საზოგადოებისა (GIZ) და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების დაცვისა და სოფლის მეურნეობაში კრიზისების მართვის სამუშაო ჯგუფის ერთობლივი შეხვედრა გაიმართა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა განაცხადეს, რომ გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება საიმედო პარტნიორია და მის წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტებისა და აქტიური თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადეს.

შეხვედრაზე GIZ-ის ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვის პროექტის ხელმძღვანელმა კრისტიან გონერმა, ამავე პროექტის უფროსმა მრჩეველმა ნათია კობახიძემ და საველე კოორდინატორმა ამირან კოდიაშვილმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს თავმჯდომარესა და სამუშაო ჯგუფის წევრებს მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტები გააცნეს. აღინიშნა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხელისუფლებასა და გერმანიის საერთაშორისო საზოგადოებას შორის მჭიდრო თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კრიზისების მართვის სამუშაო ჯგუფი 2016 წელს ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინიციატივით შეიქმნა. GIZ-ის ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვის პროექტის ხელმძღვანელის, კრისტიან გონერის განცხადებით, სამუშაო ჯგუფი , რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ხელმძღვანელობს, წარმატებით და ეფექტურად მუშაობს და იმედი გამოთქვა, რომ ასეთი ჯგუფები სხვა მუნიციპალიტეტებშიც შეიქმნება.

ელექტროენერგიის გადასახადი გაძვირდა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2017 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე ცვლილებები შეიტანა (დადგენილება №49) 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში. კერძოდ, 2018 წლის პირველი იანვრიდან მომხმარებლისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ტარიფები გაძვირდა. ეს, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური მომხმარებლისათვის თუ კომერციული საქმიანობით დაკავებული ადამიანებისათვის არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ... გვინდა თუ არა, დამორჩილება მოგვიწევს.

– ვიცით, რომ მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს, მაგრამ, ადგილობრივი ხელმძღვანელობის დონეზე, მასში კორექტივების შეტანა შეუძლებელია. ეს არის ბრძანება, რომელსაც წინ ვერ აღვუდგებით. მარეგულირებელმა კომისიამ ეს ციფრები ხანგრძლივი და სერიოზული კვლევების შედეგად დადო, ელექტროენერგიის შესყიდვის, თვითღირებულების და სხვა ხარჯების გათვალისწინებით. ერთადერთი გამოსავალი, რომელიც მოსახლეობამ შეიძლება გაითვალისწინოს, არის ის, რომ ეკონომიურად მოიხმაროს დენი, რათა არ გაიზარდოს მათი ყოველთვიური ხარჯები, - ამბობს ჩვენთან საუბარში „ენერგო-პრო ჯორჯას „ კახეთის ფილიალის დედოფლისწყაროს მომსახურების ცენტრის დირექტორი ივანე გიგოლაშვილი.

განგიმარტავთ, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით დადგენილი ტარიფები არაგამჭოლია. ყოველი მომხმარებელი ელექტროენერგიის საფასურს იხდის 30 კალენდარულ დღეში მოხმარებული ელექტოენეგიის სრულ რაოდენობაზე იმ ტარიფით, რომელიც დაწესებულია მოხმარებული ელექტროენერგიის შესაბამის რაოდენობაზე.

საერთო მოხმარების მრიცხველებით დარიცხვისას, საყოფაცხოვრებო მომხმარებლები (მოსახლეობა), ინდივიდუალური მრიცხველის არ არსებობის შემთხვევში, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს იხდიან პირველი საფეხურის (101 კვტ-სთ-ს ჩათვლით) ტარიფით.

ქვემოთ გთავაზობთ 2018 წლის პირველი იანვრიდან მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდ ტარიფებს (დღგ-ს ჩათვლით):

ნაირა გორაშვილი

1.გარდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა (ძაბვის მიხედვით) გრაფიკი

№	ძაბვა	თეთრი/კვტსთ
1	220/380 ვოლტი	21.08306
2	3,3-6-10 კილოვოლტი	16,25096
3	35-110 კილოვოლტი	14.85974

2.საყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის გრაფიკი

№	220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა 30 კალენდარულ დღეში	თეთრი/კვტსთ
1	101 კვტსთ-ის ჩათვლით (საერთო მოხმარების მრიცხველის აბონენტებისათვის)	14.2367
2	101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით	18.2133
3	301 კვტსთ-დან და მეტი	22.7327

სემეკმა „მისტიური მომხმარებლის“ კვლევის შედეგად კომპანიების მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები გამოავლინა

სემეკმა „მისტიური მომხმარებლის“ კვლევის შედეგად კომპანიების მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები გამოავლინა.

პროექტის ფარგლებში, რომელიც პირველად ჩატარდა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში, სს „თელასის“, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული მომსახურების პროცესი შემოწმდა. კვლევა მოიცავდა ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების განაცხადის ჩაბარებასა და 5 დღის განმავლობაში კომპანიების მიერ მათზე რეაგირებას.

კვლევის შედეგად მომსახურების პირობების შემდეგი დარღვევები გამოვლინდა: რიგი სამივე კომპანიის სათავო ოფისში სხვადასხვა სამუშაო საათებში; მოქალაქეს სს „თელასის“ მომსახურების ცენტრში უარი ეთქვა განაცხადის ჩაბარებაზე იმ მიზეზით, რომ მიერთების განაცხადი ბარდება მხოლოდ კომპანიის სათავო ოფისში. სს „თელასის“ მომსახურების ცენტრები მუშაობს 09:00-18:00-მდე, მიუხედავად ამისა ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების განაცხადის მიღება ხდება 16:00 საათამდე; მოქალაქე მიერთების განაცხადის ჩაბარებისას არ ითხოვდა შიდა ქსელის მოწყობას და განმარტა, რომ შიდა ქსელი უკვე ჰქონდა მოწყობილი, მიუხედავად ამისა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ მოთხოვნილი იქნა შიდა ქსელის აზომვითი ნახაზი, როგორც განცხადების ჩაბარების პირობა; მოქალაქემ წინასწარ გადაიხადა მიერთების საფასური, რის შემდეგაც შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ უარი ეთქვა თანხის დაბრუნების თაობაზე განაცხადის ჩაბარებაზე და მოთხოვნილი იქნა ბეჭდით დამოწმებული ამონაწერი ბანკიდან, საბანკო რეკვიზიტების მითითებით. მომხმარებელმა ვერ ჩააბარა განაცხადი, მიუხედავად იმისა, რომ მიერთების განაცხადში მითითებული ჰქონდა საბანკო რეკვიზიტები, სადაც შესაძლო უარის შემთხვევაში მოხდებოდა თანხის დაბრუნება.

კვლევის მიხედვით, დარღვევები დაფიქსირდა მოკლე ტექსტური შეტყობინებით ინფორმირების დროსაც. ამ მიმართულებით დარღვევები შეეხებოდა მომხმარებლის არასრულ ინფორმირებას, როგორც განაცხადის რეგისტრაციის ნომრის, თარიღისა და საკონტაქტო პირის შესახებ, ასევე 5 სამუშაო დღის ვადაში ინფორმაციის მიწოდებას განაცხადის დადგენის თაობაზე.

კვლევის შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, კომპანიებს მიეცათ რეკომენდაციები და მათ შესასრულებლად ვადები განესაზღვრათ.

კომისია აგრძელებს „მისტიური მომხმარებლის“ პროექტს, რომელიც მოიცავს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში არსებული ყველა კომპანიის მიერ მოქალაქეებისათვის გაწეულ სხვადასხვა მომსახურებებზე დაკვირვებას.

დაავადებათა კონტროლის ცენტრში უარყოფენ, რომ ცოფის სახიფათო ვაქცინა გამოიყენეს

დაავადებათა კონტროლის ცენტრში უარყოფენ ინფორმაციას, რომ საქართველოში ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი 29 222 დოზა ვაქცინა გაიხარჯა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ განუცხადა.

ამასთან, მისივე თქმით, საუბარია 2015 წელს შემოტანილ ცოფის ვაქცინაზე და არა იმ გეგმურ ვაქცინაციაზე, რომელიც ბავშვებს უკეთდებათ.

„ჩვენი განცხადება ეხება იმ საკითხს, რომელმაც გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია — პუბლიკაციამ იმუნიზაციის პროცესზე.

ის, რაც წერია პუბლიკაციაში, რეალობას არ შეესაბამება და ამ საკითხზე დაავადებათა კონტროლის ცენტრს რამდენჯერმე აქვს გაცემული არგუმენტირებული პასუხი აუდიტის სამსახურისთვის.

მათ შორის, გუშინწინ სხდომა შედგა აუდიტის სამსახურში, სადაც ჩვენმა წარმომადგენლებმა დაუსაბუთეს იმ საკითხის მართებულობა, რაზეც დღეს აუდიტის სამსახურის პუბლიკაციამ გამოიწვია აჟიოტაჟი და აუდიტის სამსახური დაეთანხმა დაავადებათა კონტროლის ცენტრის არგუმენტებს. იყო შეპირება, რომ ეს საკითხი მოიხსნებოდა.

არ მინდა, ვიფიქრო, რომ ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი ჯანდაცვის ინტერვენციის დისკრედიტაცია გამიზნულად ხდება, რომელიც დაკავშირებულია იმუნიზაციასთან და მოსახლეობის ვაქცინაციასთან.

მოგეხსენებათ, რომ მედიცინის ისტორიის ბოლო 200 წლის განმავლობაში ამაზე უკეთესი ინტერვენცია ჯერ საზოგადოებას არ მოუგონია, რომელმაც გადაარჩინა მილიონიობით ადამიანის სიცოცხლე.

მათ შორის, დღევანდელი პუბლიკაციის სათაურში არ არის ნახსენები, რომ ეს ვაქცინა გახლავთ ცოფის ვაქცინა და არა ის გეგმური ვაქცინაცია, რომელიც ჩვენს ბავშვებს უკეთდებათ“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ამირან გამყრელიძის განცხადებით, ცოფი 100%-ით სასიკვდილო დაავადებაა.

„ერთადერთი, ცოფი იმართება ვაქცინების საშუალებით. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ჩვენი ჯანდაცვის სექტორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა გახლავთ ის, რომ არც ერთი წყვეტა ვაქცინებით მომარაგებაში არ ყოფილა, უმჯობესდება ქვეყანაში აცრები და მათ შორის ცოფის საწინააღმდეგო.

სწორედ ამის შედეგი არის ის, რომ პირველად, 25 წლის განმავლობაში, ბოლო სამი წელია, ქვეყანაში არცერთი ადამიანის ცოფით გარდაცვალების შემთხვევა არ არის დაფიქსირებული და დღეს ხდება პუბლიკაცია სწორედ ამ ვაქცინაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, მე მინდა დავაფიქსირო, რომ ეს ვაქცინა 2015 წელსაა შემოსული ქვეყანაში ყველა იმ წესის დაცვით, რასაც ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს.

ვაქცინა იყო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული. ეს ვაქცინა ქვეყანაში გამოიყენებოდა მთელი 2015 წლის განმავლობაში და არც ერთი გვერდითი მოქმედების შემთხვევა ან სერიოზული გართულება არ ყოფილა დაფიქსირებული, როგორც ვაქცინის შემოტანიდან ისე ვაქცინის ამოღებამდე პროცესში.

2016 წლის იანვარში, როდესაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოითხოვა ამ ქარხნიდან მისი პრეკვალიფიკაცია და ეს არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი უმაღლესი თამასა ვაქცინის და საერთოდ მედიკამენტის ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ვაქცინის დაუყოვნებლივი ამოღება უნდა მომხდარიყო. როდესაც ის გახლავთ სტრატეგიული დანიშნულების ვაქცინა და ვაქცინის გარეშე წარმოუდგენელია, მაშინ ყველა დაკბენის შემთხვევა შეიძლება გამოდგეს სასიკვდილო. ამას დაავადებათა კონტროლის ცენტრი არ და ვერ დაუშვებს“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ამასთან, გაყრელიძე მოუწოდებს აუდიტის სამსახურს, აღნიშნულ თემაზე კიდევ ერთხელ შედგეს შეხვედრა.

„გამოთხოვიდან დაახლოებით თვენახევარში დაავადებათა კონტროლის ცენტრმა უზრუნველყო ამ ვაქცინის ამოღება, რადგან ამ ვაქცინის ჩანაცვლება ახალი ვაქცინით იყო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია და არა იმპერატიული განცხადება. დაახლოებით, 2016 წლის 20 მარტიდან ქვეყანაში ახალი ვაქცინა გამოიყენებოდა.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ამ ვაქცინის გამოყენების მთელი ერთი წლის განმავლობაში გვერდითი მოქმედება ან გართულება არ დაფიქსირებულა. მათ შორის, ხაზს ვუსვამ, რომ 2015 წლიდან ერთ-ერთი დიდი მიღწევა გახლავთ ის, რომ ქვეყანაში ცოფი არ გვაქვს, როდესაც სამწუხაროდ, მთელი 90-იანი წლების განმავლობაში ჩვენ გვქონდა 10-15, პიკი იყო ცოფის 21 შემთხვევა 1996-1997 წლებში. ამის შემდგომ, ქვეყანაში ყოველთვის იყო ცოფის 3-4-5 შემთხვევა. ეს გახლავთ ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ქვეყანაში იმუნიზაციის პროცესის გამართვისა. დღეს, სამწუხაროდ, პრესაში ჩნდება სწორედ მცდელობა — არ მინდა კიდევ ვიფიქრო, რომ ამას რამე გამიზნული დანიშნულება აქვს და ალბათ, სასურველია და მოვუწოდებ აუდიტის სამსახურს, კიდევ გაიმართოს ჩვენთან შეხვედრა, რათა აუდიტის სამსახურმა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი განმარტება გააკეთოს“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

აუდიტის სამსახურის ცნობით, საქართველოში ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი 29 222 დოზა ვაქცინა გაიხარჯა.

ღმერთმა მუსიკა საჩუქრად უბოძა ჩემს გულს

დედოფლისწყაროს კულტურის სახლის და მუსიკალური სკოლის სცენაზე რამდენჯერმე მოვისმინე პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლის მარიამ ჯორკოშვილის *მიერ შესრულებული სიმღერები და იმდენად მოვიხიბლე მისი საოცარი, ლამაზი ხმით, შესანიშნავი მუსიკალურობით, მაღალი სასცენო კულტურით და შარმით, რომ სურვილი გამიჩნდა, ჩემი სტატიის მთავარი გმირი მარიამი ყოფილიყო. ასეც მოხდა. მასთან ინტერვიუ ჩავწერე და ამ სამაგალითო გოგონით დავიწყე და გავხსენი ახალი რუბრიკა საუკეთესო მოსწავლეახალგაზრდა. გარდა მუსიკალური ნიჭისა, მარიამი ყოველმხრივ განვითარებული, განათლებული და ზედმინევნით მონესრიგებული გოგონა გახლავთ. ის საუკეთესო მოსწავლეა სკოლაშიც და ყველა საგანში უმაღლესი შეფასება აქვს. როდესაც ახალგაზრდაში ზრდილობის ელემენტებს ჭარბად ვხედავ, მისდამი ჩემი პატივისცემაც მაღალია. სხვანაირად არც შეიძლება, მარიამი ხომ ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ზურაბ ჯორკოშვილის და პედაგოგ ნინო საყვარელიძის ოჯახში გაიზარდა, რასაც ემატება მამიდის - ბაბუცი ექიმის ღვაწლი მის კულტურულ აღზრდაში. მოვუსმინოთ მარიამს, რომელთანაც საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ შედგა.*

- მარიამ, რა არის მუსიკა ზოგადად და როდის გაჩნდა ის შენს ცხოვრებაში?

- მუსიკას დიდი ძალა აქვს. მას შეუძლია დაგვამშვიდოს, ძალა შეგვმატოს და კარგ ხასიათზე დაგვაყენოს. მუსიკა გვეხმარება როგორც სიხარულის, ისე მწუხარების გამოხატვაში. წარსულსა თუ აწმყოში მუსიკა თითქმის ყველა ხალხისთვის გონებისა და გულის ენა იყო. მუსიკა მართლაც ღვთისგან ბოძებული საჩუქარია . სიმღერების ტექსტები შეიძლება ქვეყნის კულტურასა და ისტორიაზე მოგვითხრობდეს. ძველ ისრაელში მრავალ ღონისძიებას სიმღერებით აღნიშნავდნენ წინასწარმეტყველმა მოსემ შექმნა სიმღერა, რომელშიც მოკლედ აღწერა ისრაელის ისტორია და გულითადად შეაგონა ხალხი. რასაკვირველია, ამგვარი სიმღერები მსმენელს სათქმელის დამახსოვრებაში ეხმარებოდა. ჩემს ცხოვრებაში მუსიკა დაბადებიდან გაჩნდა. ხშირად ვფიქრობ ხოლმე, რომ ღმერთმა მუსიკა საჩუქრად უბოძა ჩემს გულს. ოჯახის წევრების გადმოცემით, თვეების ვიყავი, რომ მუსიკას ვუსმენდი და, როდესაც გამორთავდნენ, მაშინვე ტირილს ვიწყებდი. ორი წლის ვღიღინებდი მელოდიებს. ეს გადაღებული აქვთ ჩემს მშობლებს. საქანელაზე ვიჯექი და მთელი დღეები ვმღეროდი. ახლაც ძალიან მიყვარს ეს საქმიანობა. მუსიკა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია.

- დაიბადე სრულიად პატარა მარიამი და, რა მოხდა შემდეგ, ვინ დაბადებულხარ, ვინ იყავი, ან როგორი იყავი, რას გიყვებიან შენი მშობლები, ახლობლები?

- დავიბადე 2000 წლის 26 ივლისს. ვიყავი ცელქი და მოუსვენარი გოგო. მიუხედავად იმისა, რომ მე უმცროსი და ვიყავი, ჩემს უფროს დას ხშირად ვაწვალებდი,(მარიამის უფროს დას- რუსუდანს, ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, ასევე სანიმუშო მოსწავლე იყო სკოლაში, დღეს იგი წარმატებული სტუდენტია). ის კი მაქსიმალურად მითმენდა და არავის არ აძლევდა ჩემი დატუქსვის საშუალებას. ჩემი ოჯახის წევრები სამსახურში რომ მიდიოდნენ, მე ვრჩებოდი ჩემს უსაყვარლეს სპირიდონ პაპასთან, რომელმაც მასწავლა ანბანი, მიყვებოდა საინტერესო ამბებს. მე კი ჩემი სიმღერებით ვართობდი. ჩემი პატარაობის შესახებ უფროსები მიყვებიან, მაგრამ მეტსაც გეტყვით, მე მაქვს საშუალება ვუყურო ჩემს პატარაობას, ამაზე იზრუნეს ოჯახის წევრებმა და ჩემი ასაკობრივი ზრდა ასახულია დისკებზე.

- მარიამ, როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე...

- ჩემი ყოველდღიური ცხოვრება არდადაგების გარდა, იწყება დილის 8სთ-ზე, რადგან ვარ მოსწავლე. ვსწავლობ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის XIa კლასში. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მივდივარ რეპეტიციებზე ჩემს უსაყვარლეს პედაგოგებთან - ნინო ნიკვაშვილთან და დალი ელისაშვილთან, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს მუსიკალურ აღზრდაში. ამ მხრივ ვერასოდეს გადავიხდი მათ ამაგს. სიმღერა ჩემი ჰობია და ერთი დღეც არ არსებობს, რომ არ ვიმღერო. რეპეტიციებიდან საკმაოდ კმაყოფილი ვბრუნდები სახლში და ვამზადებ გაკვეთილებს შემდეგი დღისთვის.

-რას აკეთებს მარიამ ჯორკოშვილი უქმე დღეებზე?

- უქმე დღეები ძალიან მახალისებს. ხშირად ვატარებ დროს მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად. ასევე ძალიან მიყვარს კითხვა და ვკითხულობ არა მარტო იმ წიგნებს, რასაც პედაგოგები გვავალებენ, არამედ სხვა ლიტერატურასაც. ზოგჯერ, როცა მეგობრები ვიკრიბებით, განვიხილავთ წაკითხულ წიგნებს. ვაწყობთ პატარა მკითხველთა კლუბს.

-მარიამ, რამდენჯერმე მოვისმინე შენი გამოსვლა და საკმაოდ რთული რეპერტუარი გაქვს. ძალიან კარგი ხმა გაქვს, არ გიცდია რომელიმე კონკურსზე გასვლა?

-არა, აქამდე არ მიცდია, არც სურვილი მქონია, მომავალში, ვნახოთ, შესაძლოა ვიფიქრო მაგაზეც.

-ეს ამხელა დიაპაზონი საიდან მოდის, თავიდანვე იყო ის, თუ ნინო მასწავლებელმა აღმოაჩინა?

-არ ვიცი, ალბათ უფლისგან ბოძებული ნიჭია. ბავშვობაში დავდიოდი დალი ელისაშვილთან გუნდში, შემდეგ მქონდა ხანგრძლივი პაუზა, რადგან გამიტაცა უცხოურმა სიმღერებმა. შემდეგ ვმღეროდი მამა პანტელეიმონის ბენდ „აისელებში“. ახლა კვლავ დავუბრუნდი ანსამბლ „მანდილს“ და ასე აღმომაჩინა ნინო მასწავლებელმა.

- შენ და ნინო მასწავლებელი, რა ურთიერთობაა ეს?

-ნინო მასწავლებელი ჩემი უფროსი მეგობარია. საკმაოდ აქტიურად და კარგად ვატარებთ დროს. იგი არის მუდამ პოზიტიური.

- გაყვები მუსიკას?

-არ მაქვს არჩეული ჩემი მომავალი პროფესია, თუმცა ვიცი, რომ მუსიკას მნიშვნელოვანი ადგილი ექნება დათმობილი.

-რას აფასებ ადამიანებში უპირველესად?

- ადამიანებში ვაფასებ სამართლიანობას და თავმდაბლობას.

-მეგობარს ვერ აპატიებ....

-მეგობარს ვერ ვაპატიებ ღალატს.

-რაზე ბრაზდება უმეტესად მარიამ ჯორკოშვილი?

-ზოგადად, მე არ ვარ ემოციური. შემიძლია საკუთარი თავის მართვა, თუმცა, არ ვარ გამონაკლისი და ზოგჯერ ვბრაზობ. ვერ ვეგუები უსამართლობას.

-ხარ დედოფლისწყაროს მაცხოვრებელი, როდესაც ქუჩაში გამოდიხარ, რა მოგწონს ჩვენს გარშემო მაცხოვრებელ ადამიანებში და შენს თანატოლებში ყველაზე მეტად?

- ჩემს თანატოლებში ყველაზე მეტად მომწონს თანადგომა, ერთგულება. ძალიან მომწონს, რომ ახალგაზრდები დღეს გამოირჩევიან აქტიურობით და არიან კომუნიკაბელურები. მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა პროექტში.

-შენ რომ ამ რაიონის მართვა ჩაგაბარონ, რომელ ძირითად საკითხებს წამოსწევდი წინ და რომელის მოგვარებას დაისახავდი მიზნად?

-ავაშენებდი უპატრონო ძაღლთა თავშესაფარს, გავაკეთებდი საცურაო აუზს, შევქმნიდი საწარმოებს, სადაც ზაფხულის არდადაგებზე მოსწავლეები დასაქმდებოდნენ და საკუთარი შემოსავალი ექნებოდათ.

-შენი საყვარელი დრო რომელი საათია?

-ჩემი საყვარელი დროა დღის 3 საათი, როდესაც ვარ რეპეტიციაზე და ვაკეთებ ჩემს საყვარელ საქმეს, -ვმღერი.

-სად გრძნობს ყველაზე მეტად მარიამი ბედნიერად თავს?

-ყველაზე ბედნიერად თავს ვგრძნობ, როდესაც სცენაზე ვდგავარ და მესმის მაყურებლის ოვაციები.

- რამდენად დამთმობი ხარ?

-არ მიყვარს კონფლიქტი, ვცდილობ წყნარად და მშვიდად მოვაგვარო არასასიამოვნო ურთიერთობები, თუმცა, ხანდახან პრინციპულობას მეც ვამჟღავნებ.

-თომას ჰობსი ამბობდა: „ადამიანები გამუდმებით ეცილებიან ერთმანეთს ღირსებისა და პატივის გამო“ შენი აზრით ღირსებას და პატივს ვინმესთან შეცილება სჭირდება, თუ ის თავისით უნდა მოვიდეს, ან დაიმსახურო?

-ჩემი აზრით, ღირსება და პატივი თავისით უნდა მოვიდეს. ადამიანი სხვას კი არ უნდა შეეცილოს ამ თვისებების მოპოვებისათვის, არამედ, ეცადოს მიბაძოს ასეთ პიროვნებებს და შეძლოს საკუთარი პიროვნების ფორმირება.

- მარიამ, რას წარმოადგენს შენთვის თანასწორობა და რამდენად სწორად მიგაჩნია, რომ ადამიანებს შორის უნდა არსებობდეს ეს უფლება?

-მომხრე ვარ თანასწორობის, რომელსაც უნდა ამყარებდეს ადამიანებს შორის ურთიერთპატივისცემა. თაობები აღიზარდა შოთა რუსთაველის გენიალურ პოემა „ვეფხისტყაოსანზე“. ჯერ კიდევ XII საუკუნეში აღნიშნავდა რუსთაველი, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.“

- სკოლაში რა ხდება, ვიცი, რომ კარგად სწავლობ, თუმცა, მაინც საინტერესოა საკუთარი თავის შეფასება, როგორი გოგო ხარ მეგობრებში და როგორები არიან შენი თანატოლები?

-სკოლაში ვარ მოწესრიგებული მოსწავლე. სწავლას დროის უმეტეს ნაწილს ვუთმობ, რადგან ვარ მე-11 კლასელი და წინ მელოდება საატესტატო გამოცდები. ჩემი თანატოლები არიან მეგობრულები, სწავლისთვის მოტივირებულები და მიზანდასახულები.

-შეგიმჩნევია როდისმე ბულინგი კლასში, სკოლაში?

-აგრესიას ინვევს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ბალანსის დარღვევა. ჩემს კლასში არის ჰარმონიული და კეთილგანწყობილი ურთიერთობა. პირადად მე არ შემიმჩნევია ბულინგი, თუმცა, მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია. ვეთანხმები: „არა ბულინგს“. იმისათვის, რომ პრობლემები გამოვასწოროთ, სწორად უნდა შევაფასოთ და სწორი რეაგირება მოვახდინოთ მასზე.

-შენი აზრით, რით შეუძლია საზოგადოებას მეტ-ნაკლებად დაამსხვრიოს აგრესია და ძალადობა ბავშვებში?

-საზოგადოება შეძლებს აგრესიის დამსხვრევას ბავშვებში, როდესაც ამაღლდება მათი ცნობიერება ამ საკითხის მიმართ.

- როგორ ფიქრობ, გაგიმართლა ცხოვრებაში?

- ჩემი გადასახედიდან გამიმართლა, რადგან მოვევლინე ამ ქვეყანას, მზრდიდნენ და ბევრ კარგ თვისებას მინერგავდნენ ჩემი მშობლები და ჩემი უსაყვარლესი ბაბუცი მამიდა. მყავს საუკეთესო მეგობრები.

-მინდა უსაზღვრო წარმატება და ყოველივე საუკეთესო გისურვო ცხოვრების ყველა ეტაპზე, მარიამ. მჯერა, ჩვენი საზოგადოების იმედებს გაამართლებ. შენი სახელი და გვარი კიდევ მრავალჯერ გაიბრწყინებს. .

ლალი მეხრიშვილი

სარწყავი სისტემის აღდგენას ითხოვენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ითხოვენ. ადგილობრივების მტკიცებით, ზაფხულში ხეხილის ბაღების, ვენახების და მარცვლეული კულტურების მორწყვას ვერ ახერხებენ, რის გამოც გვალვა მოსავალს ანადგურებს.

„ზაფხულში ვენახებს, ხეხილის ბაღებს, ნაკვეთებში ხორბალს ვერ ვრწყავთ და მოსავალი გვიფუჭდება. სარწყავი სისტემა რომ იყოს, ეს პრობლემაც აღარ იქნება. თუ საირიგაციო სისტემა იქნება, გვეცოდინება, რომ მოსავალი ზაფხულში გვალვის გამო აღარ გაგვინადგურდება. შარშან გვალვის გამო ბევრმა ფერმერმა ნახა ზარალი, რადგან მოსავალი ვერ მორწყა”, - განაცხადა სოფელ თავწყაროს მკვიდრმა მარუსა ზარიძემ.

ამ ეტაპზე სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია დეფოდლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორ სოფელში -სამთაწყაროსა და ფიროსმანში მიმდინარეობს. პროექტი, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს, 2018 წლის ივლისში დასრულდება. სამინისტროს ინფორმაციით, სამუშაოების ფარგლებში მაგისტრალური არხი იწმინდება ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან.

„არხის ფერდებზე ეწყობა მონოლითური არმირებული ბეტონი. აღდგენითი სამუშაოები უტარდება ხიდებს, ღვარსაშვსა და წყალაღების კვანძებს.

მაგისტრალური არხისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაციის შედეგად, წყლის მიწოდება გაუმჯობესდება და რეგულარულად მოირწყვება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2 სოფლის 1,183 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული”, – განაცხადეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

ფოლკლორი - 2017

მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორი, ქართველი ერის შემოქმედებითი გენიის ნაყოფიმსოფლიო კულტურის კუთვნილებაა. სამწუხაროდ მატიანეებს ვერ შემორჩა მეცხრამეტე საუკუნემდე ფოლკლორის შემოქმედთა სახელები, მაგრამ, საბედნიეროდ ,საქართველოს ყველა კუთხეშია შემონახული ტრადიციულ-ავთენტიკური ნიმუშები. ქართულ ფოლკლორს სხვადასხვა მიმდინარეობა აქვს.მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი ხალხური სიმღერაა, რომელიც ოდითგანვე წარმოადგენდა ერის სულიერ საზრდოს, ქართველი კაცი მღეროდა ომის, შრომის, ავადმყოფობის, მხიარულების და მწუხარების დროსაც. სიმღერა არის ის ძალა, რომელიც მხნეობას და სიმტკიცეს მატებს ადამიანს.

2001 წლიდან ქართული ხალხური სიმღერა „იუნესკოს“ მიერ აღიარებულია „არამატერიალური, კულტურული საგანძურის შედევრად“.

დღეს ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის 2017 წლის ფოლკორულ შედეგებს ქართული ხალხური სიმღერის მიმართულებით.

დალი ელისაშვილი, – დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დირექტორი, ანსამბლ „მანდილის“ ხელმძღვანელი: კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებული გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი “ მანდილი” შეიქმნა 2008 წელს . წლების მანძილზე ბევრი ნიჭიერი გოგონა მღეროდა ანსამბლში , მათ შორის დები ლოლაშვილები, თეონა ბენაშვილი, გვანცა ვარდიშვილი, ქეთი ჩაფიშვილიდა და მრავალი სხვა. ჩვენ ვმღერით ტრადიციულ ხალხურ სიმღერებს და საგალობლებს , მონაწილეობას ვიღებთ რაიონის ღონისძიებებში ,ასევე სხვადასხვა კონკურსში, მათ შორის , ბოლოს მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს ბავშვთა მესამე საგუნდო კონკურსში, სადაც მოგვენიჭა პირველი ადგილი და ვერცხლის მედალი . კონკურსში მონაწილეობა მიიღეს დებმა ყოჩიაშვილებმა, მათ მოიპოვეს პირველი ადგილი და ბრინჯაოს მედალი, ხოლო ლიზი ყოჩიაშვილი დასახელდა საუკეთესო სოლისტ გოგონად. ამჟამად ანსამბლში 15 გოგონაა, რომელთა შორის გამოვყოფდი სოლისტებს მარიამ ჯორკოშვილს, ლიზი ყოჩიაშვილს, მალვინა ისმაილოვას, ნათია ჯანაშვილს და სხვა. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენი ყოფილი ორი მომღერალი - ანა ლოლაშვილი და თეონა ბენაშვილი , სწავლას აგრძელებენ სიმღერისა და გალობის უმაღლეს სასწავლებელში . ჩვენი ანსამბლის წევრები ერთი ოჯახივით არიან, ბევრს შრომობენ , რათა ჩვენი წინაპრების დანატოვარი დავიწყებას არ მიეცეს.

მაია ზედელაშვილი, – ჰამლეტ გონაშვილის სახ. ხალხური სიმღერის და ქართული გალობის სკოლის დირექტორი: პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ სკოლის დაარსებიდან სამი წლის განმავლობაში ჩვენმა მოსწავლეებმა და ანსამბლის წევრებმა უამრავ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა და ყოველთვის ღირსეულად ამართლებდნენ და ასახელებდნენ ჩვენი სკოლის ავტორიტეტს.

2017 წლის 5 აპრილს ანსამბლმა გურჯაანში მიიღო მონაწილეობა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მესამე ეროვნული კონკურსის პირველ ტურში და იგი უმაღლესი ქულებით გადავიდა მეორე ტურში.

9 მაისს მონაწილეობა მიიღეს მესამე ეროვნული კონკურსის მეორე ტურში, თბილისში, საპატრიარქოს ტელევიზიის დარბაზში, სადაც ანსამბლი ფართო რეპერტუარით წარსდგა მაყურებლისა და ჟიურის წინაშე. მათ ერთ სიმღერასა და ერთ გალობაში მოიპოვეს პირველი ადგილი და ორი ოქროს მედალი, ხოლო ერთ სიმღერაში ბრინჯაოს მედალი, აგრეთვე მეორე ადგილი და ლაურეატის წოდება მოიპოვეს ბავშვებმა ხალხური სიმღერისა და გალობის სხვადასხვა კატეგორიებში, ხოლო კონკურსში აქტიური და წარმატებული მონაწილეობისთვის ლოტბარმა გელა გველუკაშვილმა მიიღო სიგელი, ამავე ნომინაციაში დიპლომი გადაეცა სკოლის დირექტორს მაია ზედელაშვილს.

პირად საქმეში შეტანით მადლობა გამოეცხადათ პედაგოგებს: გელა გველუკაშვილს , მარიამ კიკილაშვილს, მარინა მგელიაშვილს აქტიური და წარმატებული მუშაობისთვის, ფესტივალზე ოქროს და ბრინჯაოს მედლების მოპოვებისთვის. 2017 წლის 17 მაისს ჩვენი სკოლის ვაჟთა ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა საზოგადოებრივი რადიოს ეთერში, გადაცემა „ჩაკრულოში“.

2017 წლის 27 მაისს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დარბაზში გაიმართა სკოლის დაარსების 3 წლისთავისადმი მიძღვნილი შემაჯამებელი ღონისძიება მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ჰამლეტ გონაშვილის შვილები და ოჯახის წევრები.

2017 წლის 2 ივნისს მიიღეს მონაწილეობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ მესამე ეროვნული საგუნდო კონკურსის გალა კონცერტში, სადაც მოხდა მათი დაჯილდოვება მოპოვებული მედლებითა და სიგელებით.

ანსამბლი სტუმრად იმყოფებოდა თელავის რაიონის სოფ. ართანაში, ცნობილ ლოტბარ ანდრო სიმაშვილთან 29 ივნისს.

სკოლის ბავშვების სასწავლო შემეცნებითი გასვლა მოხდა ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელ ანსამბლ „შავნაბადას“ კონცერტზე თბილისში 27 სექტემბერს.

30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს მასტერკლასი, ლექცია - „ბგერის სწორად წარმოქმნის შესახებ“ ჩაატარეს მომხსენებლებმა, ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელმა და ამ სკოლის მეთოდისტმა დავით ცინცაძემ, ანსამბლ „შავნაბადას სოლისტმა მიხეილ ჯავახიშვილმა.

11 ოქტომბერს ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა ბერლინის გუნდი ,,ცანტუს დომუს”, რომლებიც აღფრთოვანდნენ ჩვენი სკოლის მოსწავლეებით , პედაგოგებით და ზოგადად მუშაობით, მიღწეული შედეგებით.

ცარო მარტიაშვილი, – დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორი:

ანსამბლი ,, ხორნაბუჯი'' დაარსდა გასული საუკუნის 80-იან წლებში და იგი არაერთი კონკურსის და ფესტივალის ლაურეატია, ერთ წელზე მეტია, ანსამბლს ახალგაზრდა ლოტბარი ლექსო გრემელაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლმა გამართა 2 საანგარიშო კონცერტი ერთმანეთისგან განსხვავებული რეპერტუარით. კონცერტით წარსდგნენ არბოშიკელი მაყურებლის წინაშე, წარმატებით გამოვიდნენ ქ. თელავში ერეკლეობის დღესასწაულზე, ანსამბლი მუნიციპალიტეტში გამართული ყველა ღონისძიების მონაწილეა: 9 მაისი, 26 მაისი, ფიროსმანობა და ა.შ.

P.S. დასასრულს, გვინდა, ჩვენს ძვირფას მკითხველს ჰ.გონაშვილის სახ. სკოლის სასაიმოვნო სიახლის შესახებ ვაცნობოთ.

სულ ახლახანს, სკოლის პედაგოგთა საუკეთესო, პროფესიონალურ გუნდს კიდევ ერთი პროფესიონალი წევრი შეემატა ნიჭიერი მომღერალ-მგალობელი და ლოტბარ-რეგენტი ლექსო გრემელაშვილის სახით, რომელიც ამ სკოლის მოსწავლეებს და საუკეთესო მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ ბავშვებს შეასწავლის ქართულ ტრადიციულ საეკლესიო გალობას.

ჩვენ წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ ლექსოს წამოწყებულ საქმეში, ხოლო სკოლა ელის მსურველებს.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

სტუმრად კარნავალზე

ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მეორე ბ კლასის საახალწლო კარნავალზე მიგვიწვიეს. კლასის დამრიგებელი ქეთინო დავითაშვილი უკვე მეორე გამოშვებას უძღვება ამ სკოლის დაწყებით საფეხურზე. ის ძალიან დიდ ენერგიას და შრომას სდებს თავის აღსაზრდელებში, რაც ნათლად აისახება მის მოსწავლეებზე. არაჩვეულებრივად იყვნენ ბავშვები მომზადებულები, საკლასო ოთახი საახალწლო დეკორაციებით იყო დაფარული . მშობლები არანაკლებ იყვნენ ემოციურად ჩართულნი საშობაო ღონისძიებაში. პროგრამა ძალიან საინტერესოდ იყო დატვირთული. ფიფქიას და თოვლის პაპას, სანტა კლაუსის გმირების გარდა უხვად იყვნენ სხვა ზღაპრის გმირები:ნუნა, წრუწუნა, მელა, კურდღელი, ნაცარქექია, კინტოები, მგელი, წითელქუდა, ფუფალა, ვინ არ იყო „სტუმრად“ ამ ზეიმზე სხვადასხვა ინსცენირებიდან. კესარია, ნატალია, ლუკა,გაგა, ლევანი, ერეკლე, სოფო, გიგა, საბა,გიორგი, ანანო, ლიზი, ანდრია, მათე, ელისაბედი, ანასტასია,დალი სიმღერებსა და ცეკვებში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, მხატვრულად კითხულობდნენ ლექსებს. შესრულდა თითქმის ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა კავშირში ყოფილიყო საახალწლო კარნავალთან.

ღონისძიების დასასრულს კაკუნი შემოესმათ პატარებს, რომლებსაც თვალი ისედაც კარისკენ გაურბოდათ . „ლაპლანდიიდან“ ჩამოსულმა სანტა კლაუსმაც იმედი არ გაუცრუათ ბავშვებს და საჩუქრებით დატვირთული შემობრძანდა. ისაუბრეს სწავლაზე, ყოფაქცევაზე და შემდეგ ყველა დასაჩუქრდა. სახეგაბრწყინებულმა ბავშვებმა კიდევ ერთხელ მიულოცეს ერთმანეთს და პედაგოგს შობა- ახალი წელი და დროებით გამოემშვიდობნენ.

ელზა ხარაშვილი

საახალწლო ზეიმი სამხატვრო სკოლაში

ტრადიციულად, 2017 წლის ბოლოს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის სამხატვრო განყოფილებაში, განყოფილების გამგის აკაკი მერაბიშვილის, პედაგოგების: ქეთევან საბიაშვილისა და ირინა იაკობიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა საახალწლო ზეიმი.

ზეიმში მონაწილეობდნენ სამხატვრო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც დაყოფილი იყვნენ 5 ჯგუფად; თითოეულ გუნდს ჰყავდა კაპიტანი და ჰქონდა საკუთარი ლოგო.

გუნდებმა წარმოადგინეს საშინაო დავალება: ბუნებრივი მასალებით შექმნილი ნაკეთობები, სადაც გამოჩნდა მათი ფანტაზიის უნარი და შემოქმედებითი ნიჭი.

გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ინტელექტუალური კითხვების გამოცნობაში, თვალახვეულ ხატვაში, სიტყვების შედგენასა თუ მხატვრული ნომრების წარმოდგენაში. მხატვრული ნომრების სახით წარმოდგენილი იყო ცეკვები, სიმღერები, ლექსები. ზეიმმა მხიარულ ჟრიამულში ჩაიარა. ბოლოს გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი, რომელსაც გადაეცა სიმბოლური სამახსოვრო საჩუქარი; სიმბოლური საჩუქრები გადაეცა ასევე ყველა მონაწილეს.

მოსწავლეებს ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ.

გრიპი - მკურნალობა და პრევენცია

მართალია, ზამთარი კარგა ხანია დადგა, მაგრამ ცოტაოდენი თოვლი სულ ახლახანს მოვიდა.მზიანი, მშრალი და კონტრასტული ტემპერატურის ამინდი ხელსაყრელ ფონს ქმნიდა ვირუსული ინფექციების და გაციების თვალსაზრისით.

თვეზე მეტია, ვირუსი მძლავრობს ამერიკასა და ევროპაში. საქართველოში კი ამ დღეებში პირველი B ჯგუფის ვირუსი დაფიქსირდა. ფაქტობრივად, ჩვენთანაც ვირუსების გავრცელების ტენდენცია გარდაუვალია. ამიტომ ჩვენ გთავაზობთ მასალას სამედიცინო თემაზე, სადაც რაიონის ერთ-ერთი გამოცდილი



და წამყვანი **ექიმი- თერაპევტი ლილი ბებაშვილი გვესაუბრება გრიპისა და გაციების მკურნალობისა და პრევენციისს შესახებ.**

ზამთრის დასაწყისი და ზამთარი აქტიური პერიოდია გაციების, გრიპის, მწვავე რესპირატორული და ვირუსული დაავადებების თვალსაზრისით. მათ ახასიათებთ სეზონურობა.

ცემინება, ხველა, მომატებული ტემპერატურა – ცივი სეზონის უხშირესი და შემაწუხებელი სიმპტომებია. მაგრამ როგორ გავიგოთ ეს გაციებაა, სურდო თუ გრიპი? ამ მდგომარეობის ერთმანეთისაგან განსხვავება მნიშვნელოვანია, ვინაიდან გაციება და სურდო ნაკლებად სერიოზული პრობლემაა, გრიპი კი მნიშვნელოვან დისკომფორტთან და ზოგჯერ სერიოზულ გართულებებთანაც არის დაკავშირებული.

გაციება და სურდო შეიძლება გამოწვეული იყოს რამოდენიმე ასეული სახეობის ვირუსით. გამოკვლეულია, რომ ამ ვირუსების რაოდენობა 200-ზე მეტია. გაციება და სურდო ხშირად უკავშირდება ტემპერატურის ცვალებადობას, სხეულის გადაცივებას. ამ დროს დამახასიათებელია: ცხვირიდან გამონადენი, ცემინება, ყელის ტკივილი, ცხვირით სუნთქვის გაძნელება, ხველა. ცხელება იშვიათია, ძირითადად ვლინდება ბავშვთა ასაკში და არ აღემატება 38 გრადუსს. მოზრდილებში ტემპერატურა მხოლოდ მცირედ შეიძლება იყოს მომატებული ან არც იყოს. როგორც წესი, ეს მდგომარეობა ერთ კვირაზე მეტხანს არ გრძელდება.

გრიპის გამომწვევი ვირუსებია A,B,C ჯგუფის ვირუსები, გრიპი იწყება უეცრად. გაცივების მსგავსად აღინიშნება ყელის ტკივილი, ცხვირიდან გამონადენი, ხველა, თუმცა ეს სიმპტომები უფრო მძიმეა. ასევე გრიპს ახასიათებს საერთო სისუსტე, შემცივნება, თავის, თვალების, კუნთების ტკივილი, სხეულის „მტვრევა“ და ტემპერატურის 39 გრადუსამდე და ზემოთაც მომატება. შეიძლება გრიპმა გამოიწვიოს ღებინება და ფაღარათიც. სიმპტომები რამოდენიმე დღიდან , რამოდენიმე კვირამდეც შეიძლება გაგრძელდეს. გრიპის უხშირესი გართულებაა ცხვირის დანამატი ღრუების ანთება (სინუსიტი) ბრონქების და ფილტვების ანთება, სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაზიანება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სასიკვდილო შედეგი.

გრიპით დაავადების რისკჯგუფებს მიეკუთვნებიან შემდეგი კატეგორიის ადამიანები: ბავშვები, ხანდაზმულები, ორსულები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ქრონიკული ენდროკრინოლოგიური პათოლოგიით დაავადებულები (შაქრიანი დიაბეტი).

მაინც როგორ დავიცვათ თავი გრიპის ვირუსისაგან? გრიპის და გაციების გამომწვევი ვირუსები ორგანიზმში ხვდება ცხვირის, თვალის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსებიდან. ვრცელდება ვირუსი აირწვეთოვანი გზით, ხველით, ცემინებით. ასევე ვირუსი შეიძლება მოხვდეს ხელებზე და საყოფაცხოვრებო ნივთზე, რომელსაც შეეხო დასნებოვნებული პირი. დაავადებული ადამიანი გადამდებია სამი დღის განმავლობაში.

გრიპის ნიშნების გამოვლენისთანავე, უმჯობესია, ადამიანი დარჩეს შინ. შეზღუდოს კონტაქტი სხვა პირთან. სასურველია, მიმართოს ექიმს. არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობა .სიმპტომების შემცირების მიზნით შეიძლება მიიღოს ცხელი ჩაი, ნაყენი, დიდი რაოდენობით სითხეები. ამ დროს კარგია C და B ჯგუფის ვიტამინები, ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწევი საშუალებები.

ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები, ძირითადად სასურველია ბოსტნეულის მიღება. ექიმთან მიმართვა აუვილებელია, თუკი:

- **ცხელება გრძელდება 3 დღეზე მეტი;**
- **ყლაპვა არის გაძნელებული და მტკივნეული;**
- **ხველა გრძელდება 2-3 კვირაზე მეტხანს;**
- **ცხვირით გაძნელებულია სუნთქვა. თავის ტკივილი გახანგრძლივებულია.**

ასევე ექიმს უნდა მიმართონ ქრონიკული დაავადებების შეპყრობილმა ადამიანებმა, რათა ექიმთან შეთანხმებით მიიღონ იმუნიტეტის ასამაღლებელი პრეპარატები. პროფილაქტიკის მიზნით საჭიროა ხელების ხშირი დაბანა 20 წამის განმავლობაში. ასევე სასურველია გრიპის საწინააღმდეგო აცრის ჩატარება. ვაქცინაცია გაკეთებიდან უკვე ორ კვირაში იწყებს ორგანიზმის დაცვას. ვინაიდან გრიპის სეზონის დასაწყისად მიჩნეულია სექტემბრის თვე, ამიტომ სასურველია, ამ თვიდან დაიწყოს აცრები. ჩვენთან- რაიონის ჯანდაცვის ცენტრში, შემოტანილი ვაქცინა არის მაღალხარისხიანი, ფრანგული წარმოების. სასურველია, აცრა ჩაუტარდეს პირველ რიგში ზემოთ აღნიშნული რისკჯგუფში შემავალ ადამიანებს. მათთვის აცრა უფასოა. აცრა არ ტარდება ნებისმიერი მწვავე ფორმის დაავადებების დროს, დანარჩენ შემთხვევაში აცრას არ აქვს წინააღმდეგი ჩვენება. რაც შეეხება ჩვენს მოსახლეობას ამ მხრივ აღინიშნება პასიურობა. აცრის მსურველთა მიმართვიანობა არის მცირე. არადა, აცრა ეს ერთი ყველაზე უფრო საიმედო დაცვაა ვირუსული დაავადებებისაგან. რაიონის მოსახლეობას ვულოცავ შობა-ახალწელს და ვუსურვებ პირველ რიგში ჯანმთელობას, რადგან, ჯანმთელობა არის უმნიშვნელოვანესი სრულყოფილი ცხოვრებისთვის.

ესაუბრა
ნაირა გორაშვილი

ვითხოვთ მარშრუტის აღდგენას

წლების განმავლობაში დედოფლისწყაროს ავტოსადგურიდან ქალაქ რუსთავის მიმართულებით დილის საათებში გადიოდა სამარშრუტო ტაქსი. დღეის მდგომარეობით აღნიშნული მარშრუტი აღარ ფუნქციონირებს, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. ამ მარშრუტის გაუქმების გამო რუსთავში წამსვლელებს მეტი ფულის და დროის ხარჯვა უწევთ. ამიტომ, რაიონის მოსახლეობის სახელით ჩვენი რაიონის გადამზიდავი კომპანიის სს“ტრანსპორტელის“ ადმინისტრაციას ვთხოვთ, აღდგეს დილის მარშრუტი რუსთავის მიმართულებით.

პატივისცემით:
გია ტუსაშვილი, არჩილ მაძღარაშვილი, ნოდარ ლამაზოშვილი,
გელა გოგილაშვილი, ილია რამაზანაშვილი და სხვები.

ყურადღება!

ვეძებთ მომვლელს ინვალიდის ეტლში მჯდომი ხანდაზმული ქალბატონისათვის. სამუშაოს ხანგრძლივობა: კვირაში 6 დღე დილიდან საღამომდე, კვირაში ერთი დღე - გამოსასვლელი. ანაზღაურება 200 ლარი. დეტალური ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე: 591 011 564.

გვესაჭიროება მწოლიარე ქალბატონის მომვლელი.
ტელეფონი: 577 60 67 97, ციალა.

წლის საუკეთესო ქალბატონი

საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარმა“ საქართველოს მასშტაბით წლის საუკეთესო ქალბატონის წოდება მიანიჭა
ნუნუ ცაკაშვილ-იმერლიშვილს
მოსწავლე-ახალგაზრდობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართება და სპეციალური სიგელი გადაეცემა მიმდინარე წლის 29 აპრილს. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. (მისამართი თბილისი, გუდიაშვილის ქ. N7. საკონტაქტო ტელეფონი 555 55 72 77) ამავე დღეს გაიმართება ნომინაციაში „საიმედო მომავალი“ გამარჯვებულების და ბრენდ-პერსონის დაჯილდოვება.)

ამ დღეებში ოპერისა და ბალეტის თეატრში მიმდინარე მოვლენების პრესაში მუდმივი გაშუქებისთვისა და თანამშრომლობისთვის ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის მიერ ზურაბ ანჯაფარიძის პრემია მიენიჭა ჩვენს თანამოქალაქეს, მრავალი საინტერესო ღონისძიების ორგანიზატორს **ნანა ჭიჭნაძეს.** ვულოცავთ ამ დამსახურებულ ჯილდოს ქალბატონ ნანას და კვლავაც მრავალ ლამაზ დღეებს ვუსურვებთ.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია

ქეთი პოლიკაშვილი, ინგა შიოლაშვილი, ირმა ზუბადალაშვილი, თეო ოთარაშვილი, ნონა გარსენიშვილი, ნელი გოგინაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ირმა ბერძენიშვილს დისშვილის, ნინო და დიმიტრი კვიწინაშვილებს შვილის
გიორგი კვიწინაშვილის
ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო და დიმა კვიწინაშვილებს შვილის
გიორგი კვიწინაშვილის
ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

ბიჭიკო და გულო ალადაშვილების ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს დიმა, ნინო, ანა, როინი და ნანა კვიწინაშვილებს
გიორგი კვიწინაშვილის
გარდაცვალების გამო.

ნათელა, გოჩა და ხვიჩა სეფიაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ დიმა, ნინო და ნანა კვიწინაშვილებს
გიორგი კვიწინაშვილის
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების დირექტორები ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ ნინო და დიმიტრი კვიწინაშვილების შვილის
გიორგის
გარდაცვალების გამო

დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით ვუცხადებთ სამძიმარს ნინო და დიმიტრი კვიწინაშვილებს
გიორგის
გარდაცვალების გამო

ავთანდილ ბენაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს დიმიტრი და ნინო კვიწინაშვილებს შვილის
გიორგის
გადრდაცვალების გამო

The European Union for Georgia
ENPARD: Support to Agriculture and Rural Development

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD II პროგრამის ფარგლებში, „HEKS-EPER“ აცხადებს საგრანტო კონკურსს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

HEKS-EPER საქართველო, დედოფლისწყაროს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფთან (LAG) და ბიოლოგიური მეურნეობის ასოციაცია „ელკანა“-სთან ერთად აცხადებს პირველ ღია საგრანტო კონკურსს სოციალური, გარემოს დაცვითი და ეკონომიკური ინიციატივების მხარდასაჭერად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

კონკურსი მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, სოფლის განვითარების პროექტის ENPARDII - ისფარგლებში. საგრანტო კონკურსი მოიცავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს და აპლიკაციები შეფასდება დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) და მისი პრიორიტეტების შესაბამისად.

საგრანტო კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია იმ პროექტების დაფინანსება, რომელიც მიზნად ისახავს ცხოვრების დონისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში შემავალი პრიორიტეტებისა და მიზნების გათვალისწინებით.

დედოფლისწყაროს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი
პროექტი PROCEED - მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკურ განვითარებისათვის
პირველი საგრანტო კონკურსი - კონცეფციის ფორმა

ელკანა ELKANA

დედოფლისწყაროს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (LAG), „PROCEED“ პროექტთან თანამშრომლობით, აცხადებს პირველ საგრანტო კონკურსს კონცეფციის მიღებაზე, რომელიც შესაბამისობაშიიქნება დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასთან.

კონკურსის დასაწყისი:18 იანვარი, 2018
დასრულების საბოლოო ვადა: 4 თებერვალი, 2018
კონკურსი, რომელიც გულისხმობს გრანტის გამოყოფას 375.000 ევროს ოდენობით, იყოფა სამ (3) ლოტად:

პირველი ლოტი:
ლოტის საერთო ოდენობა შეადგენს: 125.000 ევროს;
აპლიკანტები საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლებით:
ა) არასამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ასოციაციები, ორგანიზაციები
ბ) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი;
გ) დედოფლისწყაროს ადგილობრივი თემის არაფორმალური ჯგუფები;
დ) „ა“, „ბ“ და „გ“ უწყებებს შორის შექმნილი კოოპერატივები.

მეორე ლოტი:
ლოტის საერთო ოდენობა შეადგენს: 125.000 ევროს;
აპლიკანტები საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლებით:
ა) რეგისტრირებული კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეოანარასასოფლო-სამეურნეო).
ბ) იურიდიული პირები (მაგ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები).

მესამე ლოტი:
ლოტის საერთო ოდენობა შეადგენს: 125.000 ევროს;
აპლიკანტები ტენდერში მონაწილეობის უფლებით:
ა) ინდივიდუალური პირები;
ბ) სტარტაპები.

დაშვების ზოგადი წესები:

საგრანტო კონკურსშიმისაღები იქნება ყველაიმ პროექტისკონცეფცია, რომელიც განხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალურრეგიონში. პროექტიდან მიღებული უშუალო სარგებელი მიმართული უნდა იყოს დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მიზნების განხორციელებისაკენ.საგრანტო კონკურსში დაიშვება ყველა კონცეფციის ფორმა, რომელსაც აპლიკანტი წარმოადგენს კონკურსის დასრულების საბოლოო დღის 24:00 სთ-მდე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით „PROCEED“-ის მისამართზე: georgia@heks-eper.org

კონცეფციის ფორმები სრულად უნდა იყოს შევსებული!კონცეფციის ფორმები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის არანაკლებ ერთ მიზანსა და ერთ პრიორიტეტს.

აპლიკაციის/კონცეფციის ფორმა

კონცეფციის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქედან: http://enpard.ge/en/grants-calls/

კონცეფციის ფორმის ბეჭდური ფორმატის მიღება შესაძლებელია ტენდერის „დანართ N1“ მითითებული საკონტაქტო პირებისაგან.

მხარდამჭერი დოკუმენტაცია

გრანტის ყველა პირობა და წესი წარმოადგენს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ნაწილს, დანართი N1 - გრანტის განაწილების მექანიზმი.

ადგილობირივ განვითარების სტრატეგიის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქედან: http://enpard.ge/en/grants-calls/

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ბეჭდური ფორმატის მიღება შესაძლებელია საგრანტო კონკურსის დანართში N1 მითითებული საკონტაქტო პირებისაგან.

კონცეფციის ფორმათა შეფასება მოხდება 5 თებერვლიდან - 27 თებერვლამდე (2018). შერჩეული კანდიდატების მიიღებენ შეტყობინებას 2018 წლის 28 თებერვალს.

თურქეთის საზღვრის კვეთის ახალი წესი საქართველოს მოქალაქეებზე დროებით არ გავრცელდება

თურქეთის სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით 1 იანვრიდან ამოქმედებული რეგულაციები საქართველოს მოქალაქეებზე დროებით არ გავრცელდება. ამ საკითხზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასა და თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თურქეთის სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით, 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებულ რეგულაციებთან დაკავშირებით, საქართველოსა და თურქეთის შესაბამისი უწყებები გააგრძელებენ კონსულტაციას, რომლის დასრულებამდეც აღნიშნული რეგულაციები საქართველოს მოქალაქეებზე არ გავრცელდება.

„მხარეებმა ისაუბრეს მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც ასევე განიხილება თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით“, - ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

1 იანვრიდან ამოქმედებული რეგულაციების მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს თურქეთში შესვლა, 90 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, მხოლოდ ბინადრობის უფლებით და სამუშაო ვიზით შეუძლიათ. საზღვრის გადაკვეთა, თუნდაც რამდენიმე საათით, თურქეთში ყოფნის 1 კალენდარულ დღედ ითვლება. 2018 წლის 1-ელ იანვრამდე, თურქეთში ერთი დღით შესვლა არ ითვლებოდა ერთ კალენდარულ დღედ, რაც საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას აძელვდა მეზობელ ქვეყანაში სამუშაოდ ვიზის გარეშე 365 დღე გადასულიყვნენ.

საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც თურქეთის მხარეს სამუშაოდ ყოველ დღე გადადიან, დღეს სარფში ახალი რეგულაციები გააპროტესტეს და მათი გაუქმება მოითხოვეს. აქციის მონაწილეებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე შეხვდა, რის შემდეგაც ის მოლაპარაკებების გასამართად თურქეთში გაემგზავრა და ართვინის გუბერნატორს შეხვდა.

ამინდი — დედოფლისწყარო

	პარასკევი 19.01	შაბათი 20.01	კვირა 21.01	ორშაბათი 22.01	სამშაბათი 23.01	ოთხშაბათი 24.01	ხუთშაბათი 25.01
დღე	8°	8°	6°	7°	9°	7°	3°
ღამე	4°	2°	5°	6°	8°	3°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.